სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 16 (4555) • 1 ნოემბერი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

წარმატებული დასაწყისი ასეთივე დასასრულის საწინდარია

გააზრებული, გათვლილი, მიზანმიმართული

ადამიანის გონის მიზანსწრაფვის ოდინდელი ძირთაძირი გაოცება იყო. გააკვირვებდა ადამის მოდგმისას რა გინდა რა

ზეციური ან მიწიერი მოვლენის, რომელიმე ნივთიერების, ორგანული და არაორგანული სიცოცხლის წარმოქმნა-მიმდინარეობა, ესა თუ ის ქმედება და უმალ დაინტერესდებოდა. ანუ, გაკვირვება ცნობისწადილში გადაიზრდებოდა და იწყებოდა გონების შემოქმედება...

პირდაპირ დაინტერესებით და კონკრეტულად დავიწყოთ. რატომაა, რომ, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე პირობებში მავანი სასწავლო დაწესებულება წარმატებულია, სხვა კი – მაჩანჩალა? რატომაა, რომ ზოგ კერძო კოლეჯში აბიტურიენტთა მიღება საკონკურსო წესით წარიმართება, ზოგან კი კონტინგენტი ვერ შეუყრიათ. თუმცა, შესაძლოა, „კუდში მდევრებს“ მოწინავეთა ტილ-სწორი მატერიალურ-ტექნიკური ბაზებიც ჰქონდეთ და საინტერესო, პრაქტიკული სპეციალობებიც ისწავლებოდეს?

რატომაა?

სასწალვლო წლის დაწყებიდან ბევრ საჯარო და კერძო სკოლასა თუ კოლეჯში ვრეკავდით და ვრეკავთ. გვაინტერესებს, როგორ დაიწყეს ახალი სასწავლო წელი, რა გეგმები აქვთ, რა ხდება საინტერესო.

სამწუხაროდ, ხშირად გვესმოდა, აბა, ჯერ საინტერესო რა უნდა იყოს, სასწავლო წელი ხომ ახლახან დაიწყო; სემესტრის, ან, სულაც, სასწავლო წლის ბოლოს შეგვეხმიანეთ, ეგებ, რაიმე საინტერესო მართლაც იყოსო.

ამ პატივცემულთ ავიწყდებათ (ან სულაც არ უწყიან), რომ წარმატებული დასაწყისი ასეთივე წარმატებული დასასრულის მტკიცე საწინდარია. ოღონდ, დასაწყისი რომ წარმატებული იყოს, საამისოდ ბევრი ზუსტად გათვლილი სვლაა საჭირო.

კოლეჯმა – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ წინდაწინ ზუსტად გათვლილი მუშაობით, ავტორიტეტით (ამ კოლეჯის მართლაც თვალსაჩინო წარმატებებზე გაზაფხულზე წერდა ჩვენი გაზეთი) კვლავაც საკონკურსოდ „გაუხადა“ საქმე აბიტურიენტებს და სასწავლო წელი ისე დამუხტულად, გააზრებულად დაიწყო, რომ სტუდენტებს კიდევ უფრო გაუცხოველა ინტერესი და დაარწმუნა სწორ არჩევანში.

მაშ, უმთავრესი ადამიანის, კოლექტივის ფაქტორია – ერთსა და იმავე ვითარებაში ვინ, როგორ ირჯება, როგორ ეძებს და ჰპოვებს წარმატებისკენ მიმავალ ყველაზე შედეგიან გზებს.

ამიტომ იყო, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორმა, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა **სოფიო მაჭარაშვილმა** უმალ წარმოგვიდგინა ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე გამართულ მიზანმიმართულ ღონისძიებათა „ნუსხა“.

სექტემბერშივე გამართულ ღონისძიებაზე რექტორმა სტუდენტებს მოკლედ გააცნო სასწავლებლის ისტორია. შემდეგ, პირველკურსელებს სტუდენტობა მიულოცეს საპატიო სტუმრებმა: ექიმმა კარდიოლოგმა და ტელეწამყვანმა **ნინო ნადირაძემ**, დამოუკიდებელმა სამედიცინო ექსპერტმა **მაია ნიკოლეიშვილმა**, ტურისტული კომპანია **„აღმოაჩინე საქართველოს“** დირექტორმა **ნინო კეკელიძემ** და პოლიციის პოლკოვნიკმა **რატი ყანდარელმა**. ახალბედებს მოსაზრებები და გამოცდილება გაუზიარეს აკადემიის კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა, ერთხმად აღნიშნეს სწორი არჩევანი, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ხარისხიანი განათლების მისაღებად ყველა პირობაა შექმნილი. საზეიმო ნაწილის შემდეგ, სტუდენტებს სასწავლებლის შინაგანაწესი გააცნო და მათ შეკითხვებს უპასუხა სასწავლო პროცესის მენეჯერმა **თამუნა გოგატიშვილმა**. სტუდენტებს დაურიგდათ ჩანაწერების წიგნაკები გაკვეთილების ცხრილთან და საბანკო რეკვიზიტებთან ერთად. სტუდენტებმა და მშობლებმა მადლობა გადაუხადეს პედკოლექტივს ამ დღის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

ზემოთ ვთქვით, მიზანმიმართული ღონისძიებებიო. კოლეჯში სწორედ ის სპეციალისტები მოიწვიეს, რა სპეციალობებიც ისწავლება. დამეთანხმებით, რაოდენ საგულისხმო და გამამხნევებელია, როცა ისინი გიწონებენ არჩევანს და გზას გილოცავენ, ვისთანაც, შესაძლოა, მოგიწიოთ მუშაობამ. ხომ გაიმედებთ, რომ სწავლით, მონდომებით მიუღწეველი არაფერია.

ახლა მშობლები. შინ ხომ იმსჯელებდნენ ნანახსა და გაგონილზე, ხომ უფრო განუმტკიცებდნენ შვილებს რწმენას არჩევანის სისწორესა და წარმატებულ მომავალზე.

კოლეჯი ძალზე ემადლიერება სტუმრებს გულისხმიერებისა და გვერდში დგომისთვის.

ოქტომბერში გაიმართა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეებისათვის სერთიფიკატების გადაცემის ცერემონია. ღონისძიებას ესწრებოდნენ **ელზა ჯგერენაია** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, **მარინა ახვლედიანი, ნინო კოპალიანი** და **თამარ ქუშაშვილი** – სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები. სტუმრებმა იმსჯელეს მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების პროგრამის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე. მოსარგებლეებს გადასცეს პროგრამის დამთავრების დამადასტურებელი სერთიფიკატები. კოლეჯის ადმინისტრაცია მადლობას უხდის სტუმრებს, განსაკუთრებით, ქალბატონ **ელზა ჯგერენაიას**, რომელმაც, მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, მოახერხა ღონისძიებაში მონაწილეობა. **ქალბატონი ელზა და სააგენტოს წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი აღნიშნული პროექტის დაგეგმვასა და სწორად წარმართვაში.**

ვგონებ, ამ ღონისძიების მიზანმიმართულობას კომენტარი არა სჭირდება... კოლეჯმა ისიც მოახერხა, რომ ოქტომბ-

გაგრძელება მე-2 გვ.

გამოცდილების გაზიარება

აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალურ კონფერენციაზე

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროპის განათლების ფონდის ორგანიზებული აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალური კონფერენცია გაიმართა. იგი ვიცე-პრემიერმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** გახსნა.

კონფერენციის მიზნია განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია საკვალიფიკაციო სისტემების ორი ძირითადი ელემენტის - კვალიფიკაციის აღიარებისა და უნარ-ჩვევების დამტკიცების (ვალიდაცია) შედეგად, მობილობის, მათ შორის მიგრაციის ხელშეწყობა.

საკვალიფიკაციო სისტემის რეფორმებზე ინფორმაციის გაზიარებისა და შემეცნებით ორდღიან კონფერენციაზე, თითოეული ქვეყნის დელეგაციამ წამოადგინა სისტემაში თავისი ქვეყნის პროგრესი და განათლების აღიარებისა და დამტკიცების (ვალიდაციის) ინსტრუმენტები. კონფერენციაზე გაიზიარეს ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება. იმსჯელეს, თუ როგორ არის შესაძლებელი მხარი დავუჭიროთ აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის მიზნებს ეკონომიკური ინტეგრაციის, სოციალური ერთობის, ურთიერთგაგებისა და მოქალაქეებისთვის სარგებლის მიღწევაში.

კონფერენციის ძირითადი თემები იყო: მობილობა, მიგრაცია და ის, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას და გაუმჯობესდეს კვალიფიკაციის აღიარების სისტემები და ხალხის უნარ-ჩვევების დადასტურება (ვალიდაცია).

კონფერენციის პლენარულ სხდომაში მონაწილეობენ საქართველოში ევროკავშირის ელჩი **იანოშ ჰერმანი** და ევროპის განათლების ფონდის (ETF) წარმომადგენელი **მიშელ გრაჰამი.**

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

პირველი გვერდიდან

ერშივე გამართა შინასასწავლებლო შეჯიბრი ფეხბურთში. ანუ, ახალგაზრდები იმაშიც დაარწმუნა, რომ, ხარისხიან სწავლასთან ერთად, აქტიური, საინტერესო ცხოვრებაც ექნებოდათ.

უფრო მეტიც, „საერთაშორისო“ მატჩის გამართვაც შეძლეს. აკადემიის ნაკრები საზოგადოებრივ კოლეჯ „მომავლის“ გუნდს შეხვდა და დაამარცხა ანგარიშით – 7:2. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ გარდამავალი თასი ამჯერადაც არ დათმო და იგი აკადემიაში საპატიო ადგილას დარჩა. სპორტი აკადემიაში წესადაა დამკვიდრებული.

სიახლეები: ავტორიზაციის პროგრამით დაამტკიცეს ბიბლიოთეკარისა და ტუროპერატორების სპეციალობები. და კვლავ მიზანმიმართულობა: ბიბლიოთეკარის საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარების მიზნით, 11 სექტემბერს აკადემიას ეწვია საქართველოს

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ბატონი **გიორგი კეკელიძე.** სტუმარმა და ბიბლიოთეკარის საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლებმა გამოკვეთეს შრომის ბაზარზე ბიბლიოთეკართა სიმცირე და, ახალგაზრდებში ამ სპეციალობით დაინტერესების გაზრდის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები დაგეგმეს.

დიდი მადლობა ბატონ გიორგის აკადემიაში მოსვლისა და კონსულტაციისთვის.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ტუროპერატორის პროფესიული პროგრამის პირველი კურსის სტუდენტები გაცნობით პრაქტიკაზე იმყოფებიან ტურისტულ კომპანიაში #discover georgia – „აღმოაჩინე საქართველო“.

და ყველაფერი ეს სასწავლო წლის დაწყებიდან სულ რაღაც ორიოდ თვეში!

ვგონებ, გაეცა პასუხი კითხვას – რატომაა ერთსა და იმავე გარემოში, ვითარებაში მყოფი სასწავლებლებიდან ზოგი – მოწინავე და ზოგიც – მაჩანჩალა. და ლოგიკური შედეგი – კოლეჯის სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

P.S. სოფიო მაჭარაშვილს 4 ივლისს, საუნივერსიტეტო სადირსეტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. მისმა მამამ, განათლების დარგის ღვაწლმოსილმა მუშაკმა, ამ, და კიდევ ორი კოლეჯის დამაარსებელმა ანზორ მაჭარაშვილმა ლექსი უძღვნა:

სოფიკოს

დოქტორის ხარისხს გილოცავ,
გამოგდგომოდეს წინსვლაში,
თუმცა თავიდან ვფიქრობდით
დრო არ გყოფნიდა სწავლაში.

შენი ქმედება სხვებისთვის,
მაგალითია ნათელი,
ყველა საქმეში წინ იწევ,
უფალს დაუნთე სანთელი.

რომ განვითარდეს ქვეყანა,
ბიზნესი არის საშველი,
პროფესიული სწავლება
გახადე ქვეყნის მაშველი.

ხომ ნათქვამია ძველთაგან,
ახლაც ამბობენ ამასა,
ქვეყნისთვის სასარგებლოა,
შვილმა აჯობოს მამასა.

გაზეთ **„სახალხი განათლება+“**-ის რედაქცია უერთდება მილოცვას და ქალბატონ სოფიოს, კოლეჯის მთელ კოლექტივს ვუ-ლოცავთ ახალი სასწავლო წლის ესოდენ წარმატებით, აქტიურად დაწყებას.

კონსტანტინე გურგენიძე

ლორდ ბაირონის სკოლა თბილისში

ილვწიან და გარჯა უფასდებათ

აგერ უკვე თითქმის საუკუნის მეოთხედია, რაც თბილისის ბაირონის სკოლა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინგლისური ენის სრულფასოვან დაუფლებასთან ასოცირდება. შესვლისთანავე თვალში გეცემათ დახვეწილი ბრიტანული ინტერიერი, რომელიც ზუსტად მიესადაგება ლორდ ბაირონის ცხოვრების სტილსა და ესთეტიურობას.

დაფუძნებიდან მოყოლებული, ბაირონის სკოლამ აღზარდა ინგლისური ენისა და კულტურის საკმაოდ მაღალი აკადემიური ცოდნის ახალგაზრდები, რომლებიც წარმატებით სწავლობენ საქართველოში და მის საზღვრებს მიღმაც.

ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის (ლონდონი) საქართველოს ბაირონის საზოგადოებათან არსებული ეს სასწავლებელი ინგლისური ენისა და კულტურის შემსწავლელ დამატებით სკოლად დაარსდა, სადაც სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პარალელურად, დღეგამოშვებით მიმდინარეობს.

დიდი ინგლისელი პოეტის სახელი ღრმა ცოდნის, ფართო განათლების, პროგრესული აზროვნებისა და დახვეწილი გემოვნების სიმბოლოა. სწავლების პროცესი ითვალისწინებს საერთაშორისო სერთიფიკატის მიღებას, საზაფხულო სკოლას დიდ ბრიტანეთში და წარჩინებულ მოსწავლეთა უფასო სწავლებას. სკოლა გადასახადისაგან ათავისუფლებს ნიჭიერ მოსწავლეებს ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათ შორის არიან პიანისტი **სანდრო გეგეჭკორი** და მევიოლინე **ანა ჭანია**.

წარჩინებული სწავლების გარანტია პროფესიონალ პედაგოგთა გუნდი: **ნუგზარ რუხაძე, დოდო ღვალაძე, დოდო ფაჩულია, ელისო გოდუაძე, მარინა გუნია, თინათინ ბახსოლიანი, თინათინ ნემსაძე, მანანა გოგუაძე, ეკა სალიაშვილი, ნინო მიქაძე, ლიანა გედევანიშვილი, ნათია გოგორიშვილი, მეგი გუდაძე, სალომე სამხარაძე** და სხვები.

სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ინესა მერაბიშვილი**.

2014 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაირონოლოგთა მე-40 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. უნივერსიტეტთან ერთად, 20 ქვეყნის 100 დელეგატს უმასპინძლა თბილისის ბაირონის სკოლამ. სტუმრებს შორის იყვნენ ბაირონის პირდაპირი შთამომავალი, ლორდთა პალატის წევრი, გრაფი **ლიტონი** მეუღლითურთ და ბაირონის ტიტულის შთამომავალი, ლორდი **ბაირონი** ლედი ბაირონთან ერთად.

ბაირონის სტიპენდიასთან ერთად, დაწესდა გრაფ **ლიტონის** სტიპენდია. მან წარჩინებული სწავლებისათვის ბაირონის სკოლის ორი მოსწავლე დააფინანსა.

მომავალ ზაფხულს ბაირონის სკოლის მოსწავლეები მიწვეულები არიან ინგლისში, ბაირონის ფესტივალზე ლორდ ბაირონის საგვარეულო მამულში.

გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის **რედაქცია ბაირონის სკოლელებს შემდგომ წარმატებებს უსურვებს სწავლასა და შრომაში.**

დაინტერესებულმა პირებმა მიმართონ:
თბილისი, გრიბოედოვის ქ. 2
ტელ: 298-34-78, 293-57-53, 299-04-91
ფაქსი: (+995 32) 298-57-97
E-mail:
byronschool@hotmail.com
innesmerabishvili@hotmail.com
Web site: www.byronschool.ge

განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი ფორმატით შეიმუშავა 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის პროექტები.

ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები, სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ადგილობრივი და ევროპელი ექსპერტები. დოკუმენტის შემუშავებისას გაიმართა მრავალი კონსულტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, დარგის ექსპერტებმა, პრაქტიკოსებმა, კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე:
http://mes.gov.ge/s/DEOEQ
შენიშვნებისა და მოსაზრებებისათვის ფოსტის მისამართი:
pr@mes.gov.ge

ИУБИЛАРИ — 133-Ე САЯЖАРО СКОЛА

ჩვენთან სითბო, მზრუნველობა და სიყვარულია

თბილისის 133-ე საჯარო სკოლას 50 წელი შეუსრულდა. დავინტერესდით, როგორი წარმატებით შეხვდა იუბილარი ახალ სასწავლო წელს. მე-5 წელია სკოლას ახალი, არჩეული დირექტორი, პროფესიით ბიოლოგი **ლიანა ფუტკარაძე** ხელმძღვანელობს. ამ ხნის მანძილზე მოშლილი ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა და ამჟამად სკოლა მთლიანად რეაბილიტირებულია. მიმდებარე ასფალტის საფარიც მალე დაიგება. აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა (გამგე – **ირინა თავბერიძე**), ფსიქოლოგის (სადაც ფსიქოლოგი **ნინო გიგოლაშვილი** და სპეც. პედაგოგი **ანა ხიჩაკაძე** არა მხოლოდ სსსმ ბავშვებს უწევენ კონსულტაციებს), სამედიცინო (ექიმი – **ლალი ცხონდია**) და საპრეზენტაციო ოთახები. სკოლა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივისა და მშვიდი, უსაფრთხო, დაცული, კეთილგანწყობილი გარემოს წყალობით, წარმატებული გახდა. ბოლო წლებია არ აღნუსხულა არანაირი დარღვევა, მანდატურის სამსახურის სტატისტიკით, ყველაფერი წესრიგშია. მოსწავლეებს აქვთ იმის განცდა, რომ სკოლა მათზე ზრუნავს, დირექცია მუდმივ კონტაქტზეა თვითმმართველობის თავმჯდომარესთან (მე-11 კლ. მოსწავლე **გიორგი შონია**).

დადებითი შეფასება დაიმსახურა **„ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“** – საქართველოს მხარდაჭერით ინიცირებული პროექტის დირექტორების კონფერენციაში **„სკოლის მართვაში მშობელთა და თემის ჩართულობის კუთხით“**, ქალბატონ ლიანას გამოსვლამ, სადაც ვკითხულობთ: „გრძელვადიანი ეფექტის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მშობელთა ჩართულობის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები კარგად დაგეგმილი, მრავლისმომცველი და ყველა მოსწავლის მშობელზე გათვლილი იყოს, რადგან მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება მოსწავლეზე და საგანმანათლებლო დაწესებულებაზეც. ჩვენ ვახორციელებთ მხარდამჭერ აქტივობებს: **„ყველაზე აქტიური მშობლის“** სერთიფიკატით ვაჯილდოვებთ მათ და გამოვხატავთ მადლიერებას; ვამზადებთ კითხვარებს, საიდანაც ვიღებთ ინფორმაციას პრობლემების შესახებ; ვაწარმოებთ განცხადებების დაფას; ვაწყობთ ღია კარის დღეს; დავაარსეთ მშობელთა კლუბი და სხვა. აქედან გამომდინარე, გაიზარდა თემისა და საზოგადოების დამოკიდებულება სკოლისადმი“.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო კონტინგენტის ზრდას და, ბოლო 3 წლის მანძილზე, მოსწავლეთა რაოდენობა 600-დან – 1100-მდე გაიზარდა, მაშინ, როცა 2 პირველ კლასს ძლივს ქმნიდნენ, წელს უკვე 7-ჰყავთ. 2016-2017 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდები წარმატებულად დაამთავრეს, მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებელი გაუმჯობესდა და გამოცდების შედეგების მიხედვით, საუკეთესო ათეულში მოხვდნენ, ჰყავდათ 6 ოქროს მედალოსანი, ყველა კურსდამთავრებული გახდა სტუდენტი, აქედან – 15 სახელმწიფო გრანტის მფლობელია, სხვადასხვა უნივერსიტეტში 100% დაფინანსება აქვთ: **მარიამ თედიაშვილს, ანა პავლიაშვილს, თამარ მელიქიძეს, ია მაისურაძეს, სალომე გვეხიძეს, თინათინ კოპალიანს, დავით ბარბაქაძეს, ვერიკო დავითაშვილს.**

სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადაში, არიან კინგსში მონაწილე სკოლათა ხუთეულში; ჰყავთ გამარჯვებულები და ოქროს ფინალისტები: **ანა პავლიაშვილი, რაუფ იდნოევი, დემეტრე ახალაძე, ლუკა სებისკვერაძე, ალექსანდრე სუჯაშვილი, გიგა გოგოხიძე, ელენე ტოგონიძე** (პედაგოგი – **მანონ გოგიაშვილი**); **ანასტასია ბრეგვაძე, დემეტრე ახალაძე, ვანო პავლიაშვილი, ზურაბ ჭიღლაძე** (პედაგოგი – **ლია მარდალეიშვილი**); **ლუკა გამგონიძე, საბა გოგიაშვილი** (პედაგოგი – **თამარ ხორბალაძე**); **ნინო ჭელიძე** (პედაგოგი – **ნანა ზურებიანი**); ჰყავთ წარმატებული სპორტსმენი **ნინო გომარელი**, ევროვიზიის გამარჯვებული **მარი სამუშია** და სხვები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამის **„თავისუფალი გაკვეთილების“** ფარგლებში, სკოლამ დაფინანსება მოიპოვა ოთხ პროექტზე, რაც შემდეგ აქტივობებს მოიცავს: **„მამულისა და სარწმუნოებისთვის თავდადებული გმირები“** (მე-7-8 კლ.) – ისტორიის პედაგოგი **დალი ოქროპირიძე**, სადაც მოსწავლეები აღწერენ და შეაფასებენ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ სინამდვილეს, გაეცნობიან საარქივო მასალებს, გამოხატავენ საკუთარ შეხედულებებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ; **„რანი ვართ და საიდან მოვდივართ“** – ხელოვნების პედაგოგი **ელზა ლაბაძე**. მოსწავლეები გაეცნობიან ქართველ ხელოვანებს, ჩვენს კულტურულ ფასეულობებს, ეროვნულ საგანძურს, მოეწყობა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; **„გვინდა ჯანმრთელები ვიყოთ“** – ბიოლოგიის პედაგოგი **ლალი ლობჟანიძე**. მოხდება ფოკუსჯგუფის მიერ დამუშავებული პრეზენტაციების წარდგენა, კედლის გაზეთების, ბუკლეტების, ფოტო და ვიდეო კოლაჟების გამოფენა, მოეწყობა დისკუსიები, დებატები; **„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“** – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ქეთევან მაზმიშვილი**. თემატიკიდან გამომდინარე, კურსის მანძილზე, მოსწავლეები სიღრმისეულად გაეცნობიან თითოეულ საკითხს, მოეწყობა ღონისძიებები და შეხვედრები.

სკოლის მართვისა და ღიაობისთვის, წარმატებისა და ლიდერობისთვის ყოველთვის მზად არიან დირექტორის მოადგილეები – **ციალა ჭკუასელი** და **სოფიკო ფარქოსაძე**; ფასილიტატორები – **ნინო ქვრივიშვილი** (ქართეული ენა და ლიტერატურა), **ლიანა მარდალეიშვილი** (დაწყებითი კლასი), **ნონა ჯაჯანიძე** (მათემატიკა). თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია საქმისმწარმოებელი **მარიამ ფუტკარაძე.**

მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებითა და სწავლების თანამედროვე სტრატეგიებით, მოსწავლეებს ინოვაციურ გაკვეთილებს სთავაზობენ უფროსი პედაგოგები: დაწყებითი კლასები – **მედეა ახვლედიანი, მარინა გათაშვილი, ნატალია გზირიშვილი, მანონ გოგიაშვილი, მარინე დავითური, ნანა ზურებიანი, ხათუნა ლოლომაძე, ლიანა მარდალეიშვილი, ნათია მელაძე, ლელა მუმლაძე, მზია ნებიერიძე, შორენა სირბილაძე, ხათუნა შაქარიშვილი, თამარ ხორბალაძე, ნინო ჯამბაზიშვილი; ანა ანუშიძე** (სამოქალაქო განათლება); ინგლისური ენა – **მანანა ბანეთიშვილი, ეკატერინე კოპალეიშვილი, ეკა ჩაკვეტაძე, მაია ჩალაბაშვილი;** ქართული ენა და ლიტერატურა – **ქეთევან მაზმიშვილი, ნინო ქვრივიშვილი, ნათია ქარდავა, ლეილა ძიძიგური, მაია წიკლაური-თაბაგარი; ლია ბურდიაშვილი** (ქიმია); მათემატიკა – **ლია გელაშვილი-კალანდაძე, ქეთევან დანელია, ციალა ჭკუასელი, ნონა ჯაჯანიძე;** ისტორია – **ნინო ზარიძე, დალი ოქროიძე**; რუსული ენა – **ქეთევან ზარიძე, ინგა ოსიტაშვილი; ნანა ზურაბაშვილი** (მუსიკა); **ელზა ლაბაძე** (ხელოვნება); **ლალი ლობჟანიძე** (ბიოლოგია); **ნათია მაზანაშვილი** (გეოგრაფია).

ყველა გამოწვევისადმი მზაობა აქვთ და სქემაში ჩართულები არიან პრაქტიკოსი პედაგოგები: **გიორგი ალიმბარაშვილი** (ქართული ცეკვა), **ნელი გოგიაშვილი** (მათემატიკა), **ვარო გუგუშვილი** (ინგლისური ენა), **იზოლდა დემეტრაძე** (გეოგრაფია), **ირინე თავბერიძე** (ისტ.), **ზოია თუმნიანაშვილი** (უსაფრთხოება, ფიზიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები), **მაგული კუჭუხიძე** (ისტორია, ეკონომიკა), დაწყებითი კლასი – **თამილა პეპანაშვილი, რუსუდან ჟიჟავაძე, ნატალია სამყურაშვილი, თამარ ტაბატაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ლამარა ხუსკივაძე; ლია ელოშვილი, ციური ტრაპაიძე** (ფიზიკა, ბუნებისმეტყველება), **სოფიკო ფარქოსაძე** (მართვა); **ლიანა ფუტკარაძე** (ბიოლოგია); ხელოვნება – **ნანული ყორიაული, მანანა ჩომახიძე, ნანა ჩხეიძე**; სპორტი – **დიანა ცინცაძე, მზექალა წიკლაური.**

133-ე საჯარო სკოლა მეოთხე წელია ჩართულია დაწყებითი განათლების პროექტ G-praid-ში და პედაგოგები აქტიურად ნერგავენ მათ მიერ შემოთავაზებულ აქტივობებს – სკოლის ცხოვრებაში ჩართული მოხალისე მშობლები **„ყველაზე აქტიური მშობლის“** დიპლომებითა და სერთიფიკატებით ჯილდოვდებიან; რეგულარულად ეწყობა ღია კარის დღე, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მიეწოდება მშობლებს განცხადებების დაფაზე, დადგენილი პერიოდულობით იკრიბება კლუბი **„მოუსმინეთ მშობლებს“** და **„საზოგადოებრივი დარბაზი“**, ინვევენ საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს, მართავენ დისკუსიებს და დებატების რეჟიმში განიხილავენ საზოგადოებაში აქტიურ თემებს. დარბაზი (ხელმძღვანელი – **ნინო ქვრივიშვილი**), იკრიბება ყოველთვიურად და მასში IX-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ. ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც განიხილეს, იყო – ძალადობა, ოჯახში, ბავშვებზე, ბუნებაზე... პროექტის ფარგლებში ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული, სწავლებისა და მიდგომების დანერგვით, საუკეთესო და წარმატებულ პედაგოგებად არიან აღიარებულნი – **ნანა ზურებიანი** და **მზია ნებიერიძე.**

აქტიურ სამუშაოებს აწარმოებენ საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის (თავმჯდომარე – **ნინო ქვრივიშვილი**), დაწყებითი კლასების (**თამარ ხორბალაძე**), მათემატიკის (**ქეთევან დანელია**), უცხოური ენების (**ინგა ოსიტაშვილი**), საბუნებისმეტყველოსი (**ლალი ლობჟანიძე**), ესთეტიკური აღზრდის (**ნანა ზურაბაშვილი**), ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების (**ნინო ზარიძე**). ძალიან დიდხანს ემზადებოდა სკოლა **„ვეფხისტყაოსნის“** იუბილესთვის. **ნინო ქვრივიშვილი**, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი: „გადავიღეთ ფილმი **„ჩემი შოთა რუსთველი“** – ჩანახატები პოეტის ვინაობის შესახებ. ჩატარდა კვირეული, რომელიც ამ ფილმის პრეზენტაციით დაიწყო, სადაც რუსთველის ვინაობის თაობაზე თოთხმეტივე ვერსია განიხილება. კლასებში გათამაშდა მუნჯი სცენები „ვეფხისტყაოსნიდან“, აგრეთვე, **„ჩვენ ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“**, სადაც უფროსკლასელები ერთი თვის მანძილზე სხვადასხვა თავს უკითხავდნენ უმცროსებს. კათედრებმა გამოუშვეს გაზეთები. ჩატარდა ღონისძიება **„ვინ უკეთ იცნობს „ვეფხისტყაოსანს“**. კვირეულის ფარგლებში, აქტიურად თანამშრომლობდნენ: **ლეილა ძიძიგური** (ქართული ენის კათედრა), **ეკა კოპალეიშვილი, ქეთევან ზარიძე** (უცხო ენების კათედრა), **ნათია მაზანაშვილი** (გეოგრაფია), **ნინო ზარიძე** (ისტორია), **მაია ჯალაბაშვილი** (ინგლისური). ყველა სასკოლო ღონისძიების აქტიური მონაწილეა მუსიკის მასწავლებელი **ნანა ზურაბაშვილი**. კვირეულის დღეებს დაემთხვა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **ალექსანდრე ჯეჯელავას** სტუმრობა, რომელიც პედაგოგ **მარინა გათაშვილისა** და ბიზნეს უნარ-ჩვევების გაკვეთილებს დაესწრო“.

სკოლაში საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლება საბუნებისმეტყველო საგნები, აქტიურად ფუნქციონირებს „ეკო“ კლუბი – ხელმძღვანელი, ბიოლოგიის პედაგოგი **ლალი ლობჟანიძე**; **„ნორჩ მკვლევართა“** კლუბი – ხელმძღვანელი, ქიმიის მასწავლებელი **ლია სულიკაშვილი**: „2014 წლიდან ვმონაწილეობთ ილიაუნის მიერ მოწყობილ საერთაშორისო **„სამეცნიერო პიკნიკში“**, თვეში ერთხელ ვაკეთებთ ექსპერიმენტულ ცდებს, საერთაშორისო პროექტში salis – **„სწავლა კვლევით“**, განხორციელებული გვაქვს პროექტები – **„მძიმე მეტალების განსაზღვრა მდინარე მტკვარსა და მიმდებარე ნიადაგებში“**; **„რატომ იძირება ჩვეულებრივი „კოკა-კოლა“ წყალში და რატომ არ იძირება „კოკა-კოლა“ ზერო**“.

მეორე თვეა მიმდინარეობს მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ წახალისებული და 133-ე სკოლის გამარჯვებული საგრანტო პროექტის **„მან გააკეთა, შეძელი შენც!“** ფარგლებში სხვადასხვა აქტივობის ეტაპები – მოსწავლეები მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის მონაწილეები გახდნენ, ასევე, რობოტიკისა და ავტომატიკის აკადემიას ესტუმრნენ, ახალგაზრდა კონსულტანტი-მეცნიერი **გურამ ჩაგანავა** სკოლაში მერვეკლასელთა მიერ რთული კონსტრუქციების აწყობას აკვირდებოდა.....

ლიანა ფუტკარაძე: „შემიძლია ვთქვა, რომ იდეალური, ურთიერთპატივისცემასა და დახმარებაზე დამყარებული თანამშრომლობითი გარემო გვაქვს, ერთი საქმისთვის ვშრომობთ ყველა. ეს ბავშვები ჩვენი ქვეყნის მომავალია და ეს პასუხისმგებლობა გაცნობიერებული მაქვს. ქვეყნის წარმატების გარანტია წარმატებული მომავალი თაობაა და მინდა ჩემი წილი აგური დავდო ამ საქმეში. ყველასგან ვითხოვ შესაძლებლობის ფარგლებში, რადგან ჩემთვის პრიორიტეტი არ არის ერთეული მოსწავლე, ჩემთვის ყველა ერთია“.

ნათია გურგენიძე

მთავარი მისია –კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების აღზრდაა

დიდი გეგმები და მოტივაცია

თბილისის მე-2 საჯარო სკოლა, რომელიც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მეუნარგიას ქუჩაზე მდებარეობს, გამოირჩევა კარგი აკადემიური წარმატებითა და სწავლების ხარისხის მაღალი დონით. სკოლას სათავეში უდგას ახალგაზრდა და გამოცდილი ხელმძღვანელი **გალაქტიონ მინდიაშვილი.** იგი უკვე შვიდი წელიწადია დირექტორია და ამ ხნის მანძილზე, სკოლაში ბევრი პრობლემა მოაგვარა: მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, განახორციელა არაერთი პროექტი და დაამყარა წესრიგი. ბატონი გალაქტიონი პროფესიით იურისტია და იგი სკოლის დირექტორად სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად დაინიშნა. არის კარგი მენეჯერი და პედაგოგი.

საგულისხმოა, რომ მე-2 საჯარო სკოლაში მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსია და აქაური მესვეურები ყველა სასწავლო წელს მომზადებულნი ხვდებიან. ნაყოფიერი იყო გასული წელიც, რადგან სკოლას 7 ოქროს მედალოსანი ჰყავდა და ყველა კურსდამთავრებული გრანტის მფლობელი გახდა.

წლეულს სკოლაში 40 პირველკლასელი მოსწავლეა, რომლებსაც დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ აქაური პედაგოგები. სიახლეა ის, რომ გაიხსნა ჭადრაკის, ცეკვისა და მუსიკის წრეები. არჩევით საგნად კი, „მეწარმეობის საფუძვლები“ ისწავლება.

სკოლა დაპომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, დირექტორის მოადგილის **თეონა არველაძის** თავდაუზოგავი შრომა და წარმატებული საქმიანობა.

სასწავლებლის პრესტიჟის ასამაღლებლად და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აქ ყველა პედაგოგი მაღალ შედეგებზეა ორინეტირებული. სკოლას აქვს დიდი სამომავლო გეგმები და მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა და მას ეფექტურად უძღვებიან გამოცდილი პედაგოგები. გაგაცნობთ კათედრის ხელმძღვანელებს:

ქართული ენა და ლიტერატურა – **ნინო ჩოჩელი**; საბუნებისმეტყველო კათდრა – **ხათუნა ბრეგაძე**; უცხო ენა – **კარინა მარტიროსოვა**; დაწყებითი – **ირმა მარგველაშვილი**; საზოგადოებრივი მეცნიერება – **ლელა ინასარიძე**; სპორტის და ესთეტიკის – **მარინე ქვათაძე**; მათმატიკის – **ელვირა სადირინა**;

მასწავლებელთა რაოდენობა 37-ია, აქედან, 18 უფროსი პედაგოგია. ასევე, არის 1000 ლარიანი პედაგოგი – **ნანა ნაჭყებია**.

სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. აქ ხშირად იმართება ღონისძიებები და ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. მოსწავლეები მონაწილეობდნენ ოლიმპიადებში, საიდანაც დაჯილდოვებულები – ქების სიგელებით დაბრუნდნენ. შარშან სკოლა გამარჯვებული გახდა სასკოლო ოლიმპიადაში (ფუტსალში). ასევე, მონაწილეობა მიიღო „ჯუნიორ **ექვიფმრნტი**“-ს მიერ ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვაში.

მე-2 სკოლაში, განათლებასთან ერთად, მოსწავლეების ჯანსაღ ცხოვრებაზეც ზრუნავენ. სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში.

ერთი სიტყვით, სკოლას ყველანაირი პირობა და რესურსი აქვს იმისთვის, რომ ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება იყოს, რაც დირექტორის **გალაქტიონ მინდიაშვილის** დიდი დამსახურებაა.

სკოლის მთავარი მისიაა მცოდნე და თანამედროვე სამყაროში კარგად ორიენტირებული კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები აღზარდოს, რომლებსაც ეროვნული ღირებულებები ექნებათ.

მზია გოგოძე

ყველა ქართველის წასაკითხი!
,,ღატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები ვართ“

ღიმილი უჭნაძე: რა აკლია ქართველს?

ქართველს აკლია „დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს; მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავიწყებითი ჭაპანის წევა... პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა...

ქართველ ხალხს ეს თვისება არ აქვს. მისი გული და მისი ნება ჰარმონიულად ფეთქს. გული აინთება – ნებაც მოქმედებს, მაგრამ გული მალე ცივდება და ნების მაჯისცემა უმალვე წყდება. იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც ენერგიის გამძლეობის მხრივ საგრძნობლად არ კოჭლობდეს.

პატარა საქმეები ჩვენს გულს არ ანთებენ და უამისოდ კი ჩვენი ნება არ იძვრის; დიდი საქმეები კი გვაფეთქებენ, მაგრამ გული მანამდე ცივდება, სანამ საქმე სრულქმნის დონეს მიაღწევდეს და გულთან ერთად ნებაც დუნდება და დაწყებული საქმე ანაზდად წყდება... ამიტომ არის, რომ ჩვენი არსებობის ნიადაგს ჩვენვე ვანიავებთ და ბედნიერი მეტოქესთან ბრძოლაში მუდამ ვმარცხდებით.

საკუთარ საქმეს კი გამბედაობა და ინიციატივა ეჭირვება და ჩვენს ხალხს ეს აკლია; უამისობაა, რომ ჩვენ სხვის საწველ ფურად გვაქცევს და საკუთარ დოვლათს სხვების საკეთილდღეოდ გვადებინებს. აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება – აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არა ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო.

გაიმართა კონფერენცია

დუალური პროფესიული განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით, კონფერენცია ,,დუალური პროფესიული განათლება საქართველოში - პერსპექტივები კერძო კომპანიებთან ერთად'' გაიმართა.

ღონისძიება მიეძღვნა დუალური პროფესიული განათლების პერსპექტივებს საქართველოში, რაც საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ღონისძიებაზე გაიმართა დისკუსია კერძო სექტორის შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე და მათ ჩართულობაზე პროფესიულ განათლებაში, რადგან კერძო სექტორის, როგორც პრაქტიკული სწავლების მომწოდებლის წამყვანი როლი, დუალური განათლების საფუძველია.

კონფერენცია საქართველოს ვიცე-პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** გახსნა.

ეროვნული განათლებისა და სულიერების სადარაჯოზე

ათინათი კი – ერა, მზეა მოჩახჩახე!

ათინათი სიბნელეში სარკმლის ჭუჭრუტანიდან შემოპარული მზის შუქია. სიმბოლურად შეურქმევიათ ეს სახელი ამ ახალი საუკუნის დიდებული მხატვრულ-საზოგადოებრივი ჟურნალისათვის. საქართველოს დღევანდელობის, ეროვნული და სულიერი აზროვნების გაფერმკრთალებული ვითარების ფონზე **„ათინათი“** მზესავით ჩახჩახებს და ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ანათებს. ჟურნალს მთავარ მიზნად მამულის გადარჩენის გზა, ილია მართლისა და ზვიადის გზა აურჩევია, **„ენა, მამული, სარწმუნოების“** მოვლა-პატრონობა გაუხდია არსებობის წყაროდ.

ყველაფერ ზემოთქმულში დარწმუნდებით, როდესაც ამ ჟურნალს საიღრმისეულად გაეცნობით. არადა, დღეს **დაუნახაობის, არდაფასების, ნიჰილიზმის მსახვრალი ხელი დარევია ყველაფერს. იაკობ გოგებაშვილის პატრიოტიზმისა და სულისკვეთების სადარი პედაგოგიც რომ იყო, არავინაა შენი დამნახავი და დამფასებელი.**

ჟურნალის მთავარი რედაქტორის, მრავალმხრივი შემოქმედის, ნიჭიერი პოეტის **გულნაზ ხარაიშვილის** სტრიქონებშიც ნათლად გამოსჭვივის მამულისთვის თავგანწირვის იდეა: **„შემოვირიგებ საქართველოს მტერს, დროს მზის სხივებით ავაფერადებ, თავთავს ავკრიფავ თითო-თითო ღერს, უფალი ხედავს ამას ყველაფერს!“** ასევე, ჩვენი ეროვნული და სულიერი სულისკვეთების აღორძინება-დაცვისთვის მზადყოფნა ჩანს ქალბატონ გულნაზის მამა გაბრიელისადმი მიძღვნილ ლექსში: **„მამა გაბრიელ, შენით ვსულდგმულობ, შენით ჩავიცვი მადლის სამოსი. თავდახრილი ვარ, კი არ ვდიდგულობ, მაცვია ლექსის ტანისამოსი“.**

ეს სტრიქონები შემთხვევით არ მოგვიტანია. ამ იდეით არის გაჯერებული **„ათინათი“**, თავიდან ბოლომდე.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიასთან დაფუძნებული ეს ჟურნალი (ამ წელს სამი ნომერი გამოვიდა, მეოთხეს დღედღეზე ველოდებით) მრავალპროფილიანია – გარდა პოლიტიკისა, ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, 300 გვერდიანი, **პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზეა** გამოცემული, თემატიკურად მრავალფეროვანია. აქ არის **კულტურა, მეცნიერება, განათლება, მხატვრული ლიტერატურა, საბავშვო მწერლობა, ისტორია** და ასე შემდეგ. ყველა დარგს თავისი განყოფილება უძღვება საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, მაღალი რანგის პროფესიონალების თავკაცობით.

ჩვენ **„ათინათის“** ყოველმხრივ განხილვა-შეფასების პრეტენზია არა გვაქვს. რომც ძალიან გვსურდეს, მასწავლებელთა გაზეთის მხრიდან ამ საქმის შესრულება მეტად მოკრძალებული გამოვა. ამიტომ **განათლების კუთხით** შევეცდებით მივუდგეთ პრობლემურ საკითხებს. უაღრესად დიდი **სასწავლო-აღმზრდელობითი პოტენციალის მატარებელია** ჟურნალი. აქ არის გამოკვეთილი **განათლების, კულტურის, ხელოვნების, მწერლობის** თემატიკა, რაც ჰაერივით საჭიროა სკოლაში, საგანმანათლებლო სისტემაში. ჟურნალი დიდად წაადგება სკოლას მუშაობაში, სამინისტროს მიერ გამოცემულ, მეთოდიკურ ლიტერატურაზე არანაკლებ გამოადგებათ აქ დაბეჭდილი დიდაქტიკური მასალები. ამიტომ, მე როგორც პედაგოგი, ვურჩევ განათლების სამინისტროს, სკოლის დირექტორებს, იკითხონ **„ათინათი“, შემოქმედებითი ურთიერთობა იქონიონ ამ ძვირფას გამოცემასთან, შეიძინონ, სასკოლო ბიბლიოთეკისთვის გამოიწერონ**. დიახ, დიდად გამოგადგებათ, დაგეხმარებათ მუშაობაში, შეგეხიდებათ, სკოლის ხელმძღვანელებო, მასწავლებლებო.

თუ დაპირებები **დემოკრატიაზე, ქვეყნის გაბრწყინებაზე, დამოუკიდებლობაზე, სულიერებაზე, მამულ-მოყვასის სიყვარულზე, მაღალ ღირებულებებზე** ოდენ რიტორიკად **არ დარჩება, მთავრობა ვალდებულია ამ**



დიდებულ ჟურნალს მხარში ამოუდგეს, მორალურ-მატერიალური მხარდაჭერა აგრძნობინოს.

ბოლოს, როგორც მკითხველმა, ჩვენი რედაქციის სახელით მინდა **„ათინათის“** დამფუძნებელი, შემოქმედი რედაქტორის **გულნაზ ხარაიშვილის**, მისი შესანიშნავი თანამშრომლების მიმართ დიდი მადლობა გამოვხატო ამ ბრწყინვალე ჟურნალის არსებობისათვის.

ვინც ოდნავ მაინც ერკვევა სარედაქციო საქმიანობაში, კარგად იცის, რა ძალისხმევას, როგორც დიდოსტატი იტყოდა, **„გულის სისხლს“** მოითხოვს ასეთი დიდებული, ძვირფასი ჟურნალის ხელმძღვანელობა: სიზიფეს შრომის ტოლფასია რედაქტორის ძალისხმევა, მხოლოდ ერთი განსხვავებით, სიზიფეს შრომა ამაო, უშედეგო იყო, **გულნაზ ხარაიშვილის** საქმიანობა ნაყოფიერია, სიხარულის მომნიჭებელი, ქვეყნისთვის გამოსადეგი.

დიდება მოთმინებასა და შენსა ღვაწლსა, გულნაზ! გაუმარჯოს „ათინათს!“

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

P.S. ზემოთ გაკვრით ვთქვით: **გულნაზ ხარაიშვილი** მრავალმხრივი შემოქმედია. დიახ, არამარტო გამოცდილი რედაქტორი და ჟურნალისტი, არამედ, საკუთარი ხმის გამორჩეული პოეტიც გახლავთ. თანაბრად ძლიერია როგორც საბავშვოში ისე სადიდო პოეზიაშიც. **„ათინათი“** მისი გემრიელი ლექსებითაც არის გაჯერებული. გვინდა, მკითხველს გულნაზის ახალი ლექსები გავაცნოთ.

გულნაზ ხარაიშვილი

საღლიისთ ლექსები

მამულო, ენა სარწმუნოება

მამულს ვუყურებ ო, ძლიერ დაღლილს,
მისევდიანებს ფიქრს და ოცნებას.
მას ვუძღვნი ლექსებს და ცრემლებს ვაღვრი,
და დავადნები მკერდზე კოცნებად.
ქართული სიტყვის ანდამატები,
მახვილზე მჭრელი, ხანაც თილისმა.
მადლით მოსილი უფლის ხატები,
გულში ჩაიკრა დედა თბილისმა.
ენა რად მინდა, მიწის გარეშე,
ან ეს მამული მტერს რად აოცებს...
დე, გადამთელოს, უცხომ თარეშით,
ერთიან მამულს თუ არ ვაკოცე.
სარწმუნოება თუ შემიცვალეს,
ანდა ჩამძირეს ტიტანიკივით...
გინდა სულ მომკლან, ლოცვა მაცალონ,
შევეწირები შუშანიკივით.

დედაენის ძეგლთან

დედაენის ძეგლთან ახლოს მდგარი,
ვუყურებდი ქანდაკებას მშვიდად...
შემოგფიცავ, ფული არის მყარი,
მშვიდობა და სიყვარული მინდა.
რას შვცქერი მაღლა ქანდაკებავ,
რა მადლი აქვს იაკობის მელანს,
ამდენ ომში სული გვიკაჟდება,
მზის შუქივით გვეფინება ყველას.
დედაენავ, გადამრჩენო ერის,
ხმლით და შუბით გიცავთ შემართული,
ლექსებს ვამბობთ თუ ქართულად
ვმღერით,
გალობაა ის შენს ლოცვად თქმული.

მოსწავლეებო!

მოსწავლეებო, სულს მიშრიალებთ,
შვილებიც თქვენ ხართ და ლურჯი ზეცაც,
ყველანი გულის ძარღვში ტრიალებთ,
მთვარეს გაჩუქებთ, ვარვარა მზესაც.
გულის კარები გაღებულია,
მოდით, მოგხვიოთ ტკბილად ხელები.
მკერდი გრძნობებით დანაღმულია,
თქვენით ლამაზობს ცისარტყელები.
აჰყეთ ბილიკებს, ლაღ-კლდის ჯიხვივით,
ეკლის ბარდებში ბილიკი ძებნეთ
შენ ჩემო ლექსო, ამოჭიხვინდი,
ნორჩ მოსწავლეებს ყოველთვის ენდე!

წიგნის საჩივარი

(კითხვა ხომ არ გავიწყდებათ?)

მკითხველო, გავხდი ობობას სატრფო,
ნესტში ვარ გელი, ვერაფრით გავშრი.
თვალით დაგეძებ, ყოველთვის გნატრობ,
მე ვტირი, როგორც პატარა ბავშვი.
ჩემით ისწავლე ანი და ბანი,
აი-ია და მწვანე ჯეჯილი...
შემომხედე და ვერც კი მიცანი,
გვერდზე მიმაგდე გულგაგლეჯილი.
მე არ მჭირდება, ჩართვა-გამორთვა,
არც საწვავები ნაირ-ნაირი.
არც მაუსი და არც ფერთა მორთვა,
ტექნიკის ცოდნა არანაირი.
წიგნი ვარ, წიგნი, მტვერდადებული
დაწუნებული ამ საუკუნის...
შენი სულიდან გამოდევნილი,
და მოჩურჩულე ღამის უკუნი.
მე ვარ ილია, მე ვარ აკაკი,
იაკობი და ვაჟა-ფშაველა.
მე ვარ ზღაპარი, მე ვარ არაკი
მე?.. წიგნი მქვია ერთი მტკაველა.
ე, მაშინ ალბათ აღარ მოვკვდები,
მკითხველო, ჩემთვის თუ მოიცალე,
წამიკითხე და გამოვცოცხლდები,
თორემ საცაა გარდავიცვალე.

წმინდა ილიას სახელს ვიფიცებ

წმინდა ილიას სახელს ვიფიცებ,
ჩემს საქართველოს მეც რომ დავიცავ,
ბევრი ტკივილი უკვე ვითმინე,
ბევრსაც ისევე გულში ჩავიკლავ.
წიწამურთან კი ილიას სისხლით,
ნაწამებო ქვავ, ჩუმად ბერდები,
ხალხის გოდებით და ხალხის რისხვით,
მტერო, მიწაშიც როგორ ჩერდები.
ყვავილის ღერომ სისხლი ჩაწურა,
ფურცლებზე დარჩა შავი წერტილი,
დიდი პოეტის სულის ნაჟურმა,
ერი დატოვა გულდაწყვეტილი.
სისხლის ტბას ნიშნავს წითელი ფერი,
შავი წინწკლები გასროლილ ტყვიას,
საქართველოში კვლავ დაძრწის მტერი,
ყველა სიმდიდრე უსირცხვოდ მიაქვს.

მოსწავლეთა ფიცი

ჩვენ სიტყვას ვიტყვით,
ჩვენ ვართ მამული,
ნორჩი ნერგები,
ფესვდანამული.
სკოლაში ვსწავლობთ,
გულანთებულნი,
სწავლის სურვილით
დაბადებულნი.
მნათობები ვართ,
ღამით ვაშუქებთ
ჩვენს საქართველოს,
არვის ვაჩუქებთ.
ჩვენ ვართ ქალაქი,
დაბაც – სოფელიც,
ჩვენ თვითონა ვართ
წუთისოფელი.

მასაჟის ავალიანის სკოლის ტრიუმფი

„ავანი“ - საერთაშორისო ასპარეზზე

მასაჟის ქართული სკოლა მედიცინის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის, უნიკალური სახელმძღვანელოებისა და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, სამედიცინო მასაჟის სკოლა **„ავანის“** დამაარსებლისა და დირექტორის ბატონ **ნიკოლოზ**

ავალიანის სკოლას ნიშნავს.

სამედიცინო მასაჟის ამ ვირტუოზზე, ვინც მეუღლესთან, სამედიცინო საქმის სპეციალისტთან ქალბატონ **ლია ავალიან-ჩახვაშვილთან** ერთად უძღვება „ავანს“ მცირე ხნის წინათ წერდა ჩვენი გაზეთი, მაგრამ, როცა სათქმელი კიდევაა, თანაც – როგორი, ხომ უნდა ითქვას. მითუფრო, ვიცით – გამეორება ცოდნის დედაა. მაგრამ ამჟამად უკვე გამოქვეყნებულის „გადაბულბულებას“ არ ვაპირებთ.

მოგეხსენებათ, ყველა საქმის საზომი შედეგია – დადებითი, ან უარყოფითი. ნახსენებ პუბლიკაციაში ვწერდით დიდ გამაჯანსაღებელ მუშაობასა და ქართველ მასაჟისტთა მოსამზადებლად გაწეულ ერთობ გააზრებულ, მიზანმიმართულ და მრავალმხრივ შრომაზე. საქართველოში ხომ ყოველი მასაჟისტი ამ სკოლის აღზრდილია და საზღვარგარეთაც ბევრი მუშაობსო.

და უმთავრესი – არის ეს ის შემთხვევა, როცა რაოდენობა ხარისხსაც ნიშნავს?

სწორედ ასეა. ამის დასტური უამრავი მადლიერი პაციენტია, მაგრამ ზემოთქმულის დასტურად ამჯერად ერთი კონკრეტული მაგალითიც საკმარისზე მეტია.

ოდესაში გაიმართა მასაჟისტთა ღია ჩემპიონატი. მასზე პირველად მიიწვიეს საქართველოს წარმომადგენლები.

ისინი საქართველოს პროფესიული მასაჟის ასოციაციამ წარადგინა, რომლის დამფუძნებლებიც არიან: **რუსუდან მემარნიშვილი** (დირექტორი), **ხათუნა ურუშაძე**, **ლია ავალიანი-ჩახვაშვილი** და **ნიკოლოზ ავალიანი**.

დელეგაციაში სამივე ქალბატონი და „ავანის“ აღზრილი, განთქმული მკურნალ-მასაჟისტი **გიორგი სიხარულიშვილი** ბრძანდებოდნენ. უშუალოდ „საპაექროდ“ „ავანის“ სკოლის კურსდამთავრებულები: **თათია ნასყიდაშვილი**, **ხათუნა საბანაძე** და **გიორგი თოხაძე** იყვნენ.

ღია ჩემპიონატი, ფაქტობრივად, საერთაშორისო გახლდათ. მასში კიდევ რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, იტალიისა და საფრანგეთის გუნდები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრება 3 ნომინაციაში გაიმართა: **კლასიკური მასაჟი** (იგი საჭიროა მასაჟის ყველა სხვა სახეობისა თუ მეთოდისთვის, ანუ მთლიანად მასაჟის კულტურის საფუძველთა-საფუძველია); **სპა-მეთოდიკები** (ძალზე მოკლედ – მკურნალობა წყლის მეშვეობით); **ტაო-იოგა-მასაჟი** (მანუალური და აქტიური კინეზიოთერაპია).

ლია ავალიანი-ჩახვაშვილისა: „წინდაწინ არაფერი დაგვიგეგმავს. ან კი რას დავგეგმავდით. გვინდოდა, მონაწილეებს თვალთახედვის არეალი გაეფართოებინათ, ენახათ, რა არის საერთაშორისო ჩემპიონატი, მაგრამ სასწაული მოხდა“...

მაინც რა სასწაული?

ანდა, სასწაული იყო, თუ წლების მანძილზე გაწეული თავდაუზოგავი შრომის ლოგიკური შედეგი?

„სასწაული“ უფრო აღფრთოვანების გამართლებულ სიტყვის მასალად გამოდგება. ნამდვილად კი – და ეს ქალბატონმა ლიამ მშვენივრად უწყის, – ეს მასაჟის ავალიანის სკოლის ტრიუმფი გახლდათ. **კლასიკურ მასაჟში** – ჩვენები მხოლოდ ამ ნომინაციაში მონაწილეობდნენ, – **თათია ნასყიდაშვილმა** – ოქროს, ხოლო **გიორგი თოხაძემ** – ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს!

ლია ავალიანი-ჩახვაშვილისა: „უნდა გენახათ ჟიურის, დელეგაციათა ხელმძღვანელების გაოცებული სახეები, როცა თათიამ,



გიორგიმ და ხათუნამ ავალიანის უნიკალური მეთოდით ბრწყინვალედ „შეასრულეს“ მასაჟი. არავინ ელოდა დებიუტანტებისგან ასეთ ოსტატობას, თანაც კლასიკურ მასაჟში. კონსულტაციებისთვისაც მიგვიწვიეს სხვადასხვა ქვეყანაში“.

ქალბატონმა ლიამ ისე ჩაიღიმილა, მივხვდი, ჭოჭმანობდა, კიდევ რაღაც ეთქვა, თუ – არა. ჩავეძიე. თურმე, მეორე ადგილიც ჩვენი წილხვედრი ყოფილა. მაგრამ პირდაპირ უთქვამთ, ყველა მედალს ქართველებს ხომ ვერ გაგატანთო.

ჯანი გავარდეს, ამჯერად შერჩეთ ჩვენი ვერცხლი. მით უფრო, რომ „შერეკილებისა“ არ იყოს, „აქედან ვერ წაშლი“.

ვერ წაშლი იმ საფუძვლიან, უნიკალურ ცოდნას, რასაც ეუფლებიან „ავანში“.

ეს მხოლოდ დებიუტი იყო. საჭიროა ყველანაირი ხელშეწყობა, რათა მასაჟის ქართული სკოლა ღირსეულად წარდგეს ნებისმიერი დონის საერთაშორისო ჩემპიონატზე. აუცილებლად ხელდამშვენებულნი დაბრუნდებიან, რადგან „ავანის“ აღზრდილები მასაჟის ავალიანის უნიკალურ მეთოდს ფლობენ.

კოტე სარალიძე

ჩვენი მოშავალი კოლეგა

ჩვენი სტუმარი ჟურნალისტობაზე მეოცნებე გოგონა, მომავალი კოლეგა, სალომე ბეჟიტაშვილია. ის თბილისის 59-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – მაია ლელაშვილი) მერვე კლასის მოსწავლეა.

სალომეს ჟურნალისტობა ძალიან მოსწონს; ფიქრობს, რომ იგი ყველასგან განსხვავებული პროფესიაა. ისიც იცის, რომ ჟურნალისტობა ადვილი არაა, მაგრამ თავისი მებრძოლი ბუნების გამო, უყვარს სირთულეებთან ჭიდილი. მისთვის არ არის საქმე, რასაც ბოლომდე არ მიიყვანს და, სჯერა, რომ შეუპოვარი შრომითა და მონდომებით აუცილებლად მიაღწევს დასახულ მიზანს, ამაში ოჯახის წევრებიც ძალიან ეხმარებიან.

„ჩემი მშობლები წარმატებისაკენ მიბიძგებენ, ყოველთვის მამხნევებენ, რაც დიდ ბედნიერებას მანიჭებს. დამატებით სტიმულს მაძლევს ჩემი დამრიგებელი ნინო დიღმელაშვილი. მისი წყალობით, უფრო გამბედავი და თავდაჯერებული გავხდი. ნინო მასწავლებელი ყველაფერში მიწყობს ხელს, იცის ჩემი მიზნების, მისწრაფებებისა და ოცნენების შესახებ, გვერდში მიდგას, როგორც მეგობარი, ყოველთვის მაძლევს საჭირო რჩევა-დარიგებას.

ქართულის მასწავლებელზეც ნანა ძიგოშვილზეც იგივე შემიძლია ვთქვა. ისიც ყველანაირად მიწყობს ხელს, მგულშემატკივრობს. ყოველთვის, როცა ჩემს ნაშრომს ეცნობა, სახეზე თბილი ღიმილი და სიამოვნება აღებეჭდება ხოლმე. ამ ორმა მასწავლებელმა იმდენი სითბო და სიყვარული დათესა ჩემს გულში, რომ მთელი ცხოვრება გამყვება საგზლად“ – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სალომემ.

სალომე წერს მოთხრობებს, ნოველებს, ჩანახატებს...

მის ორ ნამუშევარს გაგაცნობთ.

ჩვენ, ცხოველები და მცენარეები

დედამიწა, ადამიანი, ცხოველები, მცენარეები, ყოველივე სულიერი და უსულო ღმერთის ქმნილებაა... ეს ღვთის ქმნილებები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თვისებებით, ჩვევებით, აღნაგობით, ფორმით, ფერით, წონით, ხასიათით ...

ადამიანები მეტად ამაყები, თავდაჯერებულები და ამპარტავნები ვართ, ხოლო მცენარეები და ცხოველები ძალიან უბრალო, მაგრამ უმნიშვნელოვანესი არსებები არიან. ცხოველებმა ერთგულება და სიყვარული იციან... მცენარეები გვილამაზებენ სამყაროს, გვამარაგებენ ჟანგბადით, სანაცვლოდ არაფერს ითხოვენ, ადამიანებივით არ იციან დაცინვა, ქილიკი, ქიშპობა, მტრობა, ღალატი, შური...

ჩვენ, ადამიანებს, უფრო მეტი შესაძლებლობა, თავისუფლება და შანსები გვაქვს ვიდრე მცენარეებსა და ცხოველებს, რომ

კარგი საქმე ვაკეთოთ! ბუნების დაფასება, გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა გვმართებს, ისევ ჩვენი და ჩვენი თაობის საკეთილდღეოდ... გავუფრთხილდეთ გარემოს, ნუ დავანაგვიანებთ, ნუ დავაბინძურებთ, ნუ მოვსპობთ დაუდევრობით მცენარეებს, ხეებს... გავუფრთხილდეთ ცხოველებს, დავიცვათ ისინი და დაცული ვიქნებით ჩვენც...

და მაინც, ვფიქრობ, ცხოველები და მცენარეები ჩვენზე ბევრად უკეთესები არიან... ალალები, მართლები, უბოროტოები, სევდიანები მაგრამ – კეთილები... ხედავენ ადამიანებს, გრძნობენ მათ ბოროტებას, მაგრამ ბოროტებით არასოდეს უპასუხებენ, ცხოვრობენ მშვიდად ჩვენს გვერდით ალბათ, იმ იმედით, რომ ოდესმე ჩვენ – ადამიანებიც შევიყვარებთ, დავაფასებთ და სათანადო ყურადღებას მივაქცევთ მათ!

უზენაესი კანონი

არის მოსაზრება რომ პირადი ტრაგედია ადამიანს აბოროტებს.

ამ აზრს ნაწილობრივ ვეთანხმები, ყველა ადამიანი განსხვავებულია და ყველას თავის ბუნება, ფიქრები და შეხედულებები აქვს... ზოგი ადამიანი ვიცი, ვისაც ახლობელი ადამიანი შვილი ან ქმარი მოუკვდა და გაბოროტდა. ჩემი აზრით, ის ფიქრობს, რომ სწორი გზით მიდის და შური უნდა იძიოს... რადგან დაბრმავებულია შურისძიების წყურვილით... ამ დროს ადამიანი დაბნეულია, არ იცის რა გააკეთოს, ბრმად მიუყვება ამ საშინელ გზას.

მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ ბოროტი ძრახვით – შურისძიებით და სხვათა განადგურებით არაფერი გამოვა, მხოლოდ და მხოლოდ საყვარელი ადამიანის სულს შეურაცხყოფ და მისთვის ცუდს აკეთებ.

მაგრამ სხვაგვარებიც ხომ არიან? მათაც უკვდებათ შვილები და მაინც ცხოვრობენ სიკეთით, ეკლესიურად, და ამით გარდაცვლილის სულს შვებას, სიამოვნებას, კეთილგანწყობას ანიჭებენ.

ვფიქრობ, ეს საკითხი სადავო არაა, მაგრამ ასე მე ვფიქრობ, სხვა – სხვანაირად აღიქვამს და სხვა თვალით ხედავს ამ ყველაფერს.

ის ადამიანები რომლებსაც შურისძიება სწყურიათ, არასწორად მსჯელობენ! ყველა დამნაშავეს, უპირველესად ღმერთი განსჯის. მისი სამართალი უზენაესია ნებისმიერ მიწიერ სამართალთან შედარებით.

რედაქციისაგან: რთულია პედაგოგობა, მაგრამ განსაკუთრებით რთულია სოფლის სკოლების მასწავლებლობა. მითუფრო, თუ იმ შავ-ბნელ მეოთხედ საუკუნეს გავიხსენებთ – უგზოობა, სიბნელე, სიცივე, არასტაბილური სიმბოლური ანაზღაურება.

ჭეშმარიტად გმირობის ტოლფასია სოფლის ყველა პედაგოგის ღვაწლი, ვინც, არაადამიანური პირობების მიუხედავად, ერთგულად ეწეოდა მომავალი თაობის აღზრდის რთულსა და საპატიო საქმეს.

ახმეტის რაიონის სოფელ ხორხელის საჯარო სკოლის ისტორიისა და ხელოვნების მასწავლებელი ქალბატონი ასმათ ბაბაკიშვილი სწორედ იმათგანია, ვინც, ყველაფრის მიუხედავად, მთელი შემართებით მიჰყვებოდა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ სავალს.

იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა პედაგოგობაზე, რადგან მშობლები და ახლობლების უმრავლესობა მასწავლებელი იყო.

1977 წელს დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1974 წელს მოეკიდა ოჯახს. 1979 წლიდან მუშაობდა გარდაბნის მე-10 და მე-47 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში აღმზრდელად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1985 წელს კი – გარდაბნის ქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. პარალელურად (1989-1991 წლებში) იყო გარდაბნის რაიონის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე. 1991 წელს მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ახმეტის რაიონის სოფელ ხორხელში.

გთავაზობთ ქალბატონ ასმათის საგაზეთო წერილად ჩამოყალიბებულ გულისტკივილსა და ნაფიქრალს.

ჩემი სამრეკლო

მასწავლეგლის გულისტკივილი და ნაფიქრალი

სოფელ ხორხელის საჯარო სკოლა

სიყვარული გადაგვარჩენს

საოცრად ლამაზ, მიმზიდველ ადგილად წარმოგვიდგენია ყველას, ალბათ, ,,სამოთხის ბაღი“, სადაც უფალმა თავის უმაღლეს ქმნილებას – ადამიანს მიუჩინა სამყოფელი. სწორედ მისი სილამაზის ჰარმონიულობამ და ვაშლის ხის გემრიელმა ნაყოფმა შეამეცნა ადამსა და ევას „თავნი თვისნი“ და მერმედ სიყვარულიც წარმოშვა, რასაც ,,ცოდვა“ მოჰყვა. ღმერთმა იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა, რადგან ,,სიყვარული თავად ღმერთია ამ ქვეყანაზე“, რასაც შესანიშნავად გვიმხელს ,,დიდოსტატის მარჯვენაში“ კონსტანტინე გამსახურდია.

ჩვენი ქვეყნის მთის არწივი ვაჟა-ფშაველა კი თავის პატარა მოთხრობაში ,,კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, – დიდებულად ამბობს, რომ ,,ის ბუშტი, ადამიანები გულს რომ ვეძახით, სიყვარულით გვქონდეს სავსე“. განა, უფლის სიტყვაში მთავარი ,,არტერია“ ეს არაა?

თუ სიყვარულით სავსენი ვიცხოვრებთ ამქვეყნად, თუ სიკეთესა და სათნოებას გამოვიჩენთ ერთმანეთის მიმართ, აღარ იქნება ამდენი შური და ბოროტება; აღარ ჩაიცვამენ ძაძებს დედები, როგორც ეს მოხდა 9 აპრილის ტრაგედიისას, აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომებისას. ახლა ტერაქტების, საომარი მოქმედებები სხვა ქვეყნებში?! რაც მძიმე შედეგების მომტანია კაცობრიობისთვის და საშიშროებას უქმნის მთლიანად ჩვენს სამყაროს.

ღმერთმა გვიბოძა ,,სამოთხის ბაღი“ – დედამიწა, მაგრამ სიხარბითა და ღვარძლით აღსავსე ადამიანები ამას ვერ აცნობიერებენ და მტრობენ ერთმანეთს.

XXI საუკუნეში, როცა ადამიანთა აზროვნება ამაღლებულია, რაშიც ხელს გვიწყობს კაცობრიობის თანამედროვე მიღწევებიც, რატომ უნდა ვიყოთ ერთმანეთისადმი ბოროტებით სავსენი?

ღმერთმა სრულიად დედამიწა გვიბოძა, ჩვენ ჩაგვაბარა ყველა დანარჩენი, მაგრამ ვისიგრძეგანებთ, ვამართლებთ კი უფლის ამ უდიდეს ნდობასა და წყალობას?!.

ყველა ფერისა და ერის ადამიანი ღვთის შვილია – გავუფრთხილდეთ ერთმანეთს! საშინელმა ომებმა, განსაკუთრებით, პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა, კაცობრიობას სრულად დაანახვა ომების საშინელება. მთელს მსოფლიოში დღეს უპირველეს ადგილზე ,,ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“ დგას. ჯერ კიდევ 1945 წელს შექმნილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიზნად დაისახა მსოფლიოში მშვიდობისა და საერთაშორისო წესრიგის დაცვა და უპირველეს საკითხად სწორედ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დააყენა. პირველი და მეორე თაობის უფლებათა უზრუნველსაყოფად აუცილებელი გახდა ადამიანის უფლებების ახალი კატეგორიების აღიარება. მესამე თაობის უფლებებს მიეკუთვნება მყარი განვითარების, მშვიდობის, ჯანსაღი გარემოს, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის ერთობლივი გამოყენების და ჰუმანიტარული დახმარების უფლებები.

მსოფლიო საზოგადოებრიობამ უფრო მეტი უნდა შეძლოს ადამიანებსა და ქვეყნებს შორის კონფლიქტების მოსასპობად, რომ ახალმა თაობებმა მშვიდობიანად და ბედნიერად იცხოვრონ.

მიმაჩნია, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის უპირველესი ამოცანა სწორედ ეს უნდა იყოს; უფრო უნდა გააქტიურდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები; ევროკავშირის ქვეყნები, შეიქმნას ადგილებზე ისეთი ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავებენ. ისინი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან. ერთობლივი კვლევის საფუძველზე შედგეს სამუშაო გეგმები, ყველა დაირაზმოს „მავნე ელემენტების“ წინააღმდეგ. ძალის გამოუყენებლად, რათა ამას მწვავე ინციდენტები არ მოჰყვეს.

მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზებით ვაკეთოთ სიკეთე, ვთესოთ სიყვარული ჩვენს ირგვლივ და სიკეთის ნაყოფი რომ იმრავლებს, ბოროტება, შეიძლება, გაქრეს.

ასეთ ორგანიზაციებსა და ჯგუფებში ახალგაზრდების დიდი ნაწილი თუ იქნება ჩართული, შედეგი გაცილებით დადებითი იქნება.

ხშირად გაიმართოს საქველმოქმედო ღონისძიებები, შეხვედრა-გამოფენები სამშვიდობო თემებზე, ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო მასშტაბითაც, რითაც დავანახვებთ ერთმანეთს, რომ შეგვიძლია ერთობა, ძმობა, თანადგომა.

ვაჩუქოთ ერთმანეთს სიკეთე, სითბო, გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს და იმედი მაქვს, „სიყვარული გადაგვარჩენს“ ჩვენცა და სამყაროსაც.

ზრდასრულთა განათლება – რეალობა და პრობლემები

ჩვენი ქვეყანა ორ ათეულ წელზე მეტია გამოვიდა კომუნისტური რეჟიმის ტყვეობიდან და დამოუკიდებლობას მიაღწია, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი საკითხია მოსაგვარებელი და გადაუჭრელი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ნელ-ნელა წინ მივიწევთ, მრავალ სფეროშია დადებითი ძვრები; თანდათან, ნაწილობრივ გვარდება სოციალური საკითხებიც, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ჩვენს ირგვლივ გაჭირვებული და დაუსაქმებელი.

იქ, სადაც შექმნილია ზრდასრულთა განათლების ცენტრები, მათი საქმიანობის სასიკეთო კვალი უკვე ატყვია. ვფიქრობ, ამ ცენტრების განვითარება ძალზე წაადგება ხალხსაც და ქვეყანასაც.

ბევრი ზრდასრული ადამიანი შეიძლება დასაქმდეს, გამოავლინოს და გამოიყენოს უნარ-თვისებები. ამას სკოლიდანაც ეძლევა ბიძგი, როცა მოზარდებს კლასის ხელმძღვანელი ხშირად მოუთხრობს სხვადასხვა პროფესიის მნიშვნელობის შესახებ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ზოგს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების საშუალება არა აქვს. ასეთ ახალგაზრდას, თუ იგი სკოლიდანვე დაკვალიანებული იქნება, არ გაუჭირდება ხელობის არჩევა, რითაც თავადაც მიიღებს სიამოვნებას და ოჯახსაც ამოუდგება გვერდში. ყველა ასაკში შეიძლება წარმატების მივაღწევა.

მსურს ყურადღება გავამახვილო ჩემს რეგიონზე, კერძოდ, ახმეტასა და თელავზე. აქ ყველანაირი პირობაა, რომ შეიქმნას ზრდასრულთა დასაქმების ცენტრები, რაც ხელს შეუწყობს უმუშევარ ადამიანთა დასაქმებას, გაუმჯობესდება მათი სოციალური მდგომარეობა.

რეალობას ვერ გავექცევით: ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში, აქაც დიდი პრობლემაა ის, რომ ბევრ ზრდასრულ ადამიანს ჯერ არც ის მცირე პენსია აქვს და არც ხელფასი – უმუშევრობის გამო.

თუ მოვინდომებთ, მოვიძიებთ კიდეც ტერიტორიებსა და ფართს, სადაც ასეთი ცენტრების დაარსება შეიძლება. ეს ბევრ ადამიანს მოუტანს სიკეთეს და გაულამაზებს ცხოვრებას.

ასმათ ბაბაკიშვილი

მის საბავშვო ლექსებს ცეროდენები იზეპირებენ, საბავშვო ბაღებში მღერიან, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებიდან სწავლობენ.

ნაირა ნიჟარაძეს ჩვენი გაზეთის მკითხველებთან წარდგენა არ სჭირდება, ისედაც პოპულარულია იგი. მაინც მინდა შეგახსენოთ: სენტ-ეკზიუპერი თავისი ბავშვობიდან მოდიოდა. ნაირა კი გასული საუკუნის დიდი საბავშვო მწერლობიდან ხელდამშვენებული მოდის: **ნოდარ დუმბაძის, ნოდარ შამანაძის, გივი ჭიჭინაძის, გიორგი წერეთლის, ლიდა სტვილიას, ალექსი ბოლქვაძის, მანანა ზაზიკაშვილის, ილია სიხარულიძის, მაყვალა მრევლიშვილის...** აი, რა პლეადის ღირსეული წარმომადგენელია. ახლა კი მის სამ ლექსს გემო გავუსინჯოთ, რომელთაგან ერთ-ერთი ბრწყინვალე ჟურნალ **„ათინათში“** დაიბეჭდა.

ბუნების შვილი

რად გინდა წაგყვე ქალაქში, მტვერში,
სადაც ხმაური მანქანის შეგშლის,
აერთდრთმზე თვითმფრინაველბში,
ღრუბლების მშიერ კრინის ნაველბში?
არ დამანახთ ტანკი და თოფი,
ზარ-ზარბაზანის ცეცხლი და ცოფი.
მე მინდა მთებში, უსიერ ტყეში,
ვენახში, ზვარში, ბალახთა ტევრში.
მინდა დავკრიფო შინდი-ღილები,
წითელ-წითლები, როგორც მძივები.
თან ჩამოვკრიფო ასკილ-კუნელი,
ხეზე შემტკბარი ლეღვი ულევი.
მინდა შემომხვდეს ლამაზი ვეფხვი,
როგორც შენა ხარ ტანით და ეშხით
შემხვდნენ ბავშვები, მოტკბიალენი,
მოჭიკჭიკენი წითელ ბაფთებით,
ნიავი გრილი, ყაყაჩო შლილი,
ვარ სიცოცხლის და ბუნების შვილი.

„ლილე“ და „ლალე“

„ლილე“ – მზის საგალობელი,
სითბოს, ხალისის მფლობელი,
როცა მღერიან სვანები,
ზანზარებს მთების ქანები.

მზისკენ მიჰქრიან ჰანგები,
მაგრდება კოშკი – ნაგები,
„ლილე“ – გმირების სიმღერა,
გული საამოდ გიღელავს.

მიყვარს სიმღერა მცირეო,
შენ გენაცვალე „ლილეო“...

„ლილე“ – საქვეყნოდ ქებული,
საამო ხმების კრებული,
წინაპართ მონაგონია,
ბაბუ მეძახის მგონია.

თუ გიხარია, მღერიხარ,
ცის სილაჟვარდის ფერი ხარ,
ვინაც იმღერა „ლალეო“,
მას ყელში ვენაცვალეო!

ერთხელ საპარსეთში

(ისტორიული ამბავი)

მოჭიდავენი ერთმანეთს შეხვდნენ,
სულ ერთი წუთით, შეხედეს, შედგნენ,
ეს იყო ვითარცა არაკი, მითი,
წინათ ამ ამბავს არაფრად ვთვლიდი.

შედგა შეკვიბრი ლომგულთა შორის,
კაცნი გოცდნენ ამ ორთა ბრძოლით,
ერთმა მეორე ძირს დაანარცხა,
სცადა ადგომა, ძალიან დასცხა!

– გილოცავ, ძმაო, – გაისმა ჩუმად,
დამარცხებულმა წარმოსთქვა უმალ,
მხოლოდ ქართულად, სულ გამართულად,
ასეთი რამე არსად არ თქმულა.

– შენ ქართველი ხარ? – ჰო, ვარ ქართველი,
ირანში ტყვედ ვარ ჩამოყვანილი,
ამაზინ ვიყავი ძალზე პატარა,
ბედმა მსოფლიო შემომატარა.

– ახლა ისე ვარ, თითქოს ორმოში,
მე დავსახლდები საქართველოში!
– ყოჩაღ, ქართველო, ძალზე მიყვარხარ,
შენს სამშობლოში ხვალვე მიმყავხარ!

ნაირა ნიჟარაძე

ლიტერატურული გვერდი

„მინდა ცოცოდენები გავახარო“

არდავიწყება ამაგდარი პედაგოგისა

ზაირა ხელაშვილის მარადმოსაგონარი

ახლახან თბილისის მიწამ მიიბარა განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, ოჯახის ბურჯი და ძვირფასი მასწავლებელი **ზაირა გიორგის ასული ხელაშვილი**. მის სახელს ამშვენებს მდიდარი და ლამაზი ბიოგრაფია: დაიბადა 1939 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში. ორი წლისაც არ იყო, მამა რომ დიდ სამამულო ომში გაიწვიეს და ქერჩის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მალე დედაც, **ელენე საბაშვილი**, დარდს გადაჰყვა. ობოლი ბავშვი დედულეთში, საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში ბიძამ წაიყვანა და გაზარდა. დაამთავრა მანავის საშუალო სკოლა, შემდეგ კი – თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

დედაქალაქში მუშაობდა პურკომბინატში და კამვოლური დართვის ფაბრიკაში ინჟინრად. ოჯახი შექმნა აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალ კინდღში. კეთილშობილებით, მუყაითი გარჯით თავი შეაყვარა ახალ ნათესავებს, მეზობლებს. მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო, აფხაზეთის ტრაგედიამ მსახვრალი დაღი დაამჩნია მის ჯანმრთელობას.

თბილისში გულმა მოსწავლე-ახალგაზრდობისკენ გამოუწია. 26 წელი ემსახურა საყვარელ საქმეს. იყო 33-ე სკოლის ლაბორანტი, 159-ე სკოლაში შრომითი სწავლების ჩინებული სპეციალისტი და მასწავლებელი. მისი აღზრდილები შესანიშნავი მეოჯახე დედები და დიასახლისები დადგნენ ცხოვრების ასპარეზზე. მეტად ნაყოფიერი იყო **ზაირა ხელაშვილის** მოღვაწეობა გლდანის 115-ე სკოლასთან არსებულ შრომითი სწავლების სასკოლო კომბინატში. მისი მოსწავლეები იმარჯვებდნენ ყველგან – კონკურსებში, ოლიმპიადებში, ყალიბდებოდნენ დარგის ბრწყინვალე სპეციალისტებად. თავად პედაგოგსაც ბევრი ჯილდო ჰქონდა მიღებული.

მაგრამ ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ფანატიკურად, თავგანწირვით იყო შეყვარებული ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე. სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი აღუზარდა ქვეყანას, მათ კეთილდღეობას შეალია მთელი ცხოვრება. როგორც დედამ, ბებიამ, მეუღლემ ღირსეულად მოიხადა ვალი ოჯახის წინაშე. ამით კი ზუსტად და სრულად დაიმსახურა ვაჟას შეფასება, **„ლამაზად შვილთა გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადო“**, რომ ბრძანა.

მისაბაძი, გადამდები იყო მისი შრომისმოყვარეობა, გულისხმიერება, კეთილშობილება. მხოლოდ ასეთს იცნობდნენ მას მეგობრები, კოლეგები, მეზობლები, საზოგადოება.

დაუვიწყარი იყოს სახელი შენი **ზაირა ხელაშვილო!** სულ ნათელში გამყოფოს უფალმა! მსუბუქი და თბილი იყოს შენთვის თბილისის მიწა!

ოჯახის სახელით: მეუღლე **ბორის მიშველაძე,** შვილები: **ქეთინო, მაია, გიორგი მიშველაძეები,** შვილიშვილები: **დემეტრე, დავითი** და **ნინო ტყემალაძეები, ლუკა მიშველაძე, ნათესავები. კოლეგები, მეგობრები, გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია.**

შერჯიბრი პროფესიულ უნარებში

საუკეთესო წარმომადგენლის ჯილდო – ქართველ სტუდენტს

ქალაქ აბუ-დაბიში გამართული პროფესიული უნარების (World-skills) 44-ე საერთაშორისო შეჯიბრი გამარჯვებულთა დაჯილდოებით დასრულდა - შვიდი ქართველი მონაწილიდან ერთ-ერთს, ქობულეთის პროფესიულ კოლეჯ „ახალი ტალღიდან“ სტუდენტ **ზურაბ შავიშვილს**, სარესტორნო სერვისის შეჯიბრში, საუკეთესო წარმომადგენლის ჯილდო მიენიჭა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** მიიჩნევს, რომ ასეთი მასშტაბის შეჯიბრზე საქართველოს გუნდის მონაწილეობა ქვეყნისათვის ფასდაუდებელი გამოცდილებაა და ეს გამოცდილება ჩვენში აუცილებლად დაინერგება.

მისივე თქმით, შეჯიბრი ასევე ძალზე საინტერესო იყო ქართველი ექსპერტებისა და დამკვირვებლებისთვის, რომლებიც, ქართველ მონაწილეებთან ერთად, იმ უახლეს ტექნოლოგიებს გაეცნენ, რასაც სხვადასხვა ქვეყანა ამა თუ იმ პროფესიის შესასწავლად იყენებს.

„შეჯიბრი იმდენად რთული იყო, რომ ბევრმა მონაწილემ სტრესს ვერ გაუძლო და კონკურსს გამოეთიშა. ჩვენებმა კი, მიუხედავად მცირე წარმომადგენლობითობისა, ღირსეულად შეასრულეს ყველა დავალება, თითქმის იმ საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდნენ, რომელიც ამ პლატფორმის მეშვეობით ინერგება. ეს კი, რა თქმა უნდა, სამომავლოდ უფრო მეტი წარმატების საწინდარი გახდება“, - აცხადებს **ქეთევან ნატრიაშვილი.**

პროფესიული უნარების (World-skills) 44-ე საერთაშორისო შეჯიბრზე, სადაც 78 ქვეყნის 1300 წარმომადგენელი მონაწილეობდა, საქართველოს გუნდი შვიდ პროფესიაში იყო წარმოდგენილი: **სამზარეულო საქმე, საკონდიტრო საქმე, სილამაზის სალონი, სარესტორნო სერვისი, საპარიკმახერო საქმე, გრაფიკული დიზაინი, საინფორმაციო ქსელების გაყვანილობა და ვებდიზაინი.**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე,
პასუხისმგებელი რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

სახალხო განათლება+ № 16 (4555)
1 ნოემბერი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009